პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

28 მაისი

კვირა.

№ 68 (1704)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.



მუსიკა მ. დავითაშვილისა.

ტექსტი შ. ამირანაშვილისა.




მტკიცეა ჩვენი სიმღერა
გული არასდროს იღლება,
როგორც გულსა და კუნთებში,
ხმაშიც ფოლადი ილვრება.
მისამღერი:
სპორტი წყაროა სიცოცხლის,
ეშხია გაზაფხულისა,
სიჭაბუკეა მარადი
და ნეტარება გულისა.

თვალებში ელვა ინთება,
სახეზე ღიმი ელვარებს,
დიდია რწმენა მომავლის,
დავიპყრობთ ახალ მწვერვალებს.
მისამღერი:
სპორტი წყაროა სიცოცხლის,
ეშხია გაზაფხულისა,
სიჭაბუკეა მარადი
და ნეტარება გულისა.

## იაპონია მოელის ჩემპიონატის მონაწილეებს

2 ივნისს იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ქალაქში იოკოჰამაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება მსოფლიო პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

საბჭოთა მოჭიდავეებმა დიდ საერთაშორისო სარბიელზე ფეხი პირველად 1952 წელს შედგეს. ეს იყო XV ოლიმპიური თამაშები, დებიუტმა ჩვენს სპორტს დიდება და სახელი მოუტანა. ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა მოჭიდავეები მონაწილეობენ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში (კლასიკურ ჭიდაობაში). როგორი შედეგები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს უკანასკნელ ჩემპიონატებში? ვინ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში? ამ კითხვებზე პასუხებს ალბათ ინტერესით გაეცნობიან ჩვენი გაზეთის მკითხველები.

საბჭოთა მოჭიდავეებმა (კლასიკური სტილი) მსოფლიო ჩემპიონატში პირველად 1953 წელს მიიღეს მონაწილეობა. პირველობა, რომელიც ნეაპოლში ჩატარდა ჩვენი სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა. საბჭოთა კავშირის გუნდმა 41 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ შვეციის (24,5), ფინეთის (...), იტალიის (17), თურქეთის (16,5) და უნგრეთის (15) გუნდები. ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: **გურევიჩი (სსრკ)**, ტერიანი (სსრკ), ანდერბერგი (შვეცია), **ფრეი (შვეცია)**, **შატვორიანი (სსრკ)**, კარტოზია (სსრკ), ენგლასი (სსრკ), **ანტონსონი (შვეცია)**. კოტკასმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო საფინმა — მესამე.

1955 წელი. კარლ-სრუე (გფრ). მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრები კვლავ პირველ ადგილზეა. წონითი კატეგორიების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები შემდეგმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს: **ფაბრა (იტალია)**, **სტაშკევიჩი (სსრკ)**. პოიაკი (უნგრეთი), **გამარნიკი (სსრკ)**, **მანეევი (სსრკ)**, **კარტოზია (სსრკ)**, **ნიკოლაევი (სსრკ)**, **მაზური (სსრკ)**. ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა უმძიმესი წონის მოჭიდავემ — გარაევმა.

1958 წელი. ბუდაპეშტი. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე კვლავ საბჭოთა კავშირის ნაკრებია. მეორე ადგილს იკავებს თურქეთის, ხოლო მესამე ადგილს უნგრეთის გუნდები. პირად ჩათვლაში ოქროს მედლების მფლობელები ხდებიან: **გურევიჩი (სსრკ)**, **კარავაევი (სსრკ)**, **პოიაკი (უნგრეთი)**, **დოგუ (თურქეთი)**, **აივაზი (თურქეთი)**, **კარტოზია (სსრკ)**, **აბაშიძე (სსრკ)**, **ბოგდანი (სსრკ)**. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გამარნიკმა, ხოლო მესამე — ვასინმა და სტაშკევიჩმა.

უფრო ნაკლებად საგულისხმოა ჩვენი სპორტსმენების მაჩვენებლები თავისუფალ ჭიდაობაში. აქ გუნდური პირველობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნი, როგორც წესი, თურქეთის მოჭიდავეები გამოდიან. პირად ჩათვლაში კი ოქროს მედლები შემდეგნაირად ნაწილდება.

1954 წელი. ტოკიო. **აკბასი (თურქეთი)**, **დალესტანლუ (თურქეთი)**, **სასახარა (იაპონია)**, **ტოვფიკი (ირანი)**, **ბალავაძე (სსრკ)**, **ენგლასი (სსრკ)**, **მეკოკიშვილი (სსრკ)**.

1957 წელი. სტამბოლი. **ქართალი (თურქეთი)**, **აკბასი (თურქეთი)**, **დალისტანლუ (თურქეთი)**, **ბესტაევი (სსრკ)**, **ბალავაძე (სსრკ)**, **სორური (ირანი)**, **სირაკოვი (ბულგარეთი)**, **ქაფლანი (თურქეთი)**.

1959 წელი. ირანი. **ალიევი (სსრკ)**, **აკბასი (თურქეთი)**, **დალისტანლუ (თურქეთი)**, **სინიავსკი (სსრკ)**, **ჰაბიბი (ირანი)**, **სხირტლაძე (სსრკ)**, **ტახტი (ირანი)**, **ახმედოვი (ბულგარეთი)**.



## მსოფლიო ჩემპიონობა მოპოვებულია სამწლიან ბრძოლაში

ამას წინათ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მიმოწერითი ჭადრაკის თამაშის საერთაშორისო ფედერაციის IV კონგრესმა.

კონგრესმა განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული, საფინანსო და საკვალიფიკაციო საკითხები. მოსმენილ იქნა ტურნირთა დირექტორების, ევროპის შეჯიბრებათა კომიტეტების, გენერალური მდივნებისა და ხაზინადარის ანგარიშები.

სამ წელს გრძელდებოდა მსოფლიოს IV პირველობა მიმოწერით ტურნირში. მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, აგრეთვე ავსტრალიის, აშშ-ს, არგენტინის, ნორვეგიის, იუგოსლავიის, გერმანიის ერთიანი, შვეციის და საბჭოთა კავშირის გუნდები. ამასთან ჩვენი სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ ამ შეჯიბრებაში.

კონგრესმა განიხილა ჩემპიონატის შედეგები და პირველი ადგილი მიაკუთვნა საბჭოთა გუნდს.



საინტერესო მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის. ესაა თბილისელთა მიერ პირველი გატანილი გოლი მოწინააღმდეგის კარში.

მინდვრის სიღრმიდან შეტევა წამოიწყო ნახევარმცველმა შ. იამანიძემ. თავისი წინსვლა მან დაიწყო დრიბლინგით, რომლის დროსაც იგი, ჩვეულებრივ, დიდ მანძილს გადის ხოლმე მაღალი სისწრაფით. კარიდან დაახლოებით 30 მეტრის დაცილებით იამანიძე წააწყდა მცველთა დიდ შეჯგუფებას, კარგად გაითამაშა კომბინაცია ცენტრალურ თავდამსხმელ ზ. კალოევთან, მიიღო მისგან ბურთი და საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. მის შესახვედრად კარიდან გამოვიდა ვ. მასლაჩენკო, მაგრამ მეკარემ ვერ გამოითვალა დრო და მანძილი, დააგვიანა და დინამოელმა ბურთი კარში გაგზავნა.

ეს იყო მეტად ლამაზი გოლი. იამანიძის გარშემო მოძრაობდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდის მოთამაშეთა 60 პროცენტზე მეტი (7 კაცი), მაგრამ თბილისელმა მაინც შეძლო ბურთის გატანა.

საუკეთესოდ ითამაშა ამ მატჩში „დინამოს“ მარცხენა გარემარბმა მ. მესხმა, რომლის მხრიდანაც ხორციელდებოდა ძირითადად გუნდის იერიშები. აქედანვე იქნა მოწოდებული მრავალი კუთხური ბურთი.

**სურათზე:** (ზევით) — მ. მესხი აწოდებს კუთხურს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ბავშვთა შორის ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით განათლების სამინისტრომ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღეს ერთობლივი დადგენილება ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურისტული ესტაფეტის ჩატარების შესახებ. ეს საინტერესო და მასობრივი ღონისძიება გაიმართება 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

# ესტაფეტა გაივლის ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონს

ესტაფეტას წინ უნდა უსწრებდეს ტურისტული ღონისძიებანი ადგილებზე. ყველა სკოლა და საბავშვო სახლი, სკოლა-ინტერნატი, სკოლის გარეშე დაწესებულება გამართავს პიონერთა და მოსწავლეთა რაზმების მოგზაურობას მშობლიურ მხარეში. ესტაფეტის დაწყებამდე ადგილებზე მოეწყობა 2 ერთდღიანი და 1 ორდღიანი ლაშქრობები, აგრეთვე ერთი ლაშქრობა საველე პირობებში ღამის თევით. 14 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყობა ლაშქრობები 5 ღამის თევით საველე პირობებში, სკოლიდან 75 კილომეტრის გავლით.

ტურისტულ ლაშქრობათა დროს პიონერები და მოსწავლეები დაათვალიერებენ ღირსშესანიშნაობებს, გაეცნობიან თავიანთი რაიონების ბუნებას, ისტორიას, ეკონომიკას, მოსახლეობის საქმიანობას, შეაგროვებენ კოლექციებს, მხარეთმცოდნეობის მასალებს, აღწერენ საექსკურსიო ობიექტებსა და შეადგენენ სამარშრუტო რუკებს, რის შემდეგ მოეწყობა სარაიონო და საქალაქო შეკრებები საუკეთესო რაზმების მონაწილეობით.

ესტაფეტის წინატურისტულ მოგზაურობათა მარშრუტებს შეარჩევს თვითეული სკოლის ესტაფეტის საორგანიზაციო შტაბი, ამასთან ლაშქრობები უნდა მოეწყოს „ნორჩი ტურისტის“ ან „სსრკ ტურისტის“ ნიშანზე ჩასათვლელი ნორმების გათვალისწინებით.

რესპუბლიკურ ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებენ ის რაზმები, რომლებიც გაიმარჯვებენ სარაიონო და საქალაქო შეკრებებში. ესტაფეტის მარშრუტი უკვე შეიმუშავა ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა, რომლის სქემასაც ვბეჭდავთ. სულ არის 15 მარშრუტი, რომლებიც მოიცავენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქს.

რესპუბლიკური ტურისტული ესტაფეტის დამთავრების შემდეგ შეირჩევა სამი საუკეთესო რაზმი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის ნორჩ ტურისტ-მეგობართა შეკრებაზე. ამ ღონისძიების ჩატარება განზრახულია 11-13 აგვისტოს,

ტურისტული ესტაფეტის პირველი მარშრუტი იწყება 1 ივლისს გაგრაში. იგი გაივლის გუდაუთას, სოხუმს, გულრიფშს, ოჩამჩირეს, გალს, ზუგდიდს, ცხაკაიას, აბაშას, [illegible] ქუთაისს, ზესტაფონს, [illegible] გორს, [illegible] 1 აგვისტოს ყველა რაიონიდან შეგროვებულ ესტაფეტს ჩამოიტანს თბილისში, რესპუბლიკის დედაქალაქში მოვა აგრეთვე X მარშრუტი, რომელიც 24 ივლისს იწყება დმანისში, ამ ორი მარშრუტის საშუალებით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თავს მოიყრის ყველა 15 მარშრუტის, აგრეთვე რაიონებში ჩატარებულ ტურისტულ ლაშქრობათა მასალები.

ტურისტულ ესტაფეტაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის უკვე გაიშალა მუშაობა რესპუბლიკის სკოლებში, მალე ნორჩები გავლენ სალაშქროდ. ყველა ამ ღონისძიების შედეგად საქართველოს მრავალი მოსწავლე აითვისებს ტურისტის სასარგებლო ჩვევებს, გაიმდიდრებს ცოდნას,

## მოსწავლეებმა შეასრულეს სათანრიგო ნორმები

დედაქალაქის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაზე მონაწილე კალათბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს 26 კომისრის რაიონის სპორტსმენებმა, ხოლო გოგონათა შორის უძლიერესი იყო ორჯონიკიძის რაიონის გუნდი.

ჭაბუკ ფრენბურთელთა შეჯიბრებაში დედაქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა კალინინის რაიონის გუნდმა. გოგონათა შორის გაიმარჯვეს ლენინის რაიონის სპორტსმენებმა.

ტყვიით სროლაში ადვილად გაიმარჯვა ორჯონიკიძის რაიონის გუნდმა. მაგიდის ჩოგბურთში უძლიერესნი იყვნენ 26 კომისრის სახ. რაიონის სპორტსმენები.

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ცურვაში, სადაც 7 რაიონის 149 სპორტსმენი მონაწილეობდა, აქედან 49 მოსწავლე სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივები. გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა სტალინის სახ. რაიონის მოცურავეთა კოლექტივმა.

ი. ხაზეიშვილი

## საგზაო საბჭოს სპარტაკიადაზე

სამტრედიის კულტსახლში მოეწყო „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ერევნისა და ქუთაისის გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის განყოფილების ქუთაისის კვანძის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის, ხოლო მესამეზე — სოხუმის მოჭიდავეთა კოლექტივები.

წონითი კატეგორიების მიხედვით „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ზ. ლეშკაშელი (ქუთაისი), ვ. ლეთოდიანი, ბ. სემენენკო (ორივე სოხუმი), დ. იმედაძე (ქუთაისი), ა. ფხაკაძე (თბილისი), ე. ერგემლიძე, დ. ღვინერია (ორივე ქუთაისი), ვ. ბათლიძე (თბილისი).

ლ. ფარუაშვილი



ზამთრის სპორტული სეზონი ჩოგბურთში (დახურულ შენობაში) აღინიშნა საქართველოს ორი წარმომადგენლის—ირინა რიაზანოვასა და ნუგზარ მძინარიშვილის წარმატებით. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ბევრი უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა, ი. რიაზანოვა გამოვიდა პირველ ადგილზე. მან ფინალში დაამარცხა იტალიის ჩემპიონი ს. ლაზარინო. ეს ი. რიაზანოვას მესამე დიდი გამარჯვებაა. პირველად მან წარმატება მოიპოვა 1959 წელს, როცა გამოდიოდა იტალიაში მოწყობილ სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ პირველი იყო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში.

ნუგზარ მძინარიშვილი 1960 წლიდან პირველია ჩვენი ქვეყნის 50 ნორჩ ჩოგბურთელთა სიაში. მოზრდილთა შორის იგი არც თუ ისეთ დიდ წარმატებას აღწევდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნ. მძინარიშვილმა აალაპარაკა ჩოგბურთის სპეციალისტები. ქალაქ სევეროდონეცკში ნორჩმა ჩოგბურთელმა კარგ სტილში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მ. მოზერი, მოსკოველი ოსტატები ვ. ეგოროვი და მ. კორჩაგინი, შემდეგ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში მოუგო საფრანგეთის უძლიერეს სპორტსმენს ბ. ბურტულს. ჭეშმარიტებაა როცა, ამბობენ, რომ წარმატება თავისით არ მოდის, [illegible] შედეგია. ამის მკაფიო დადასტურებაა [illegible] მაგალითი.

როგორ ვარჯიშობს ჩვენი ჩოგბურთელების უმრავლესობა? 5-10-წუთიანი მოთელვა მოედანზე ბურთით, შემდეგ 3-4 პარტიის ჩატარება, და ბოლოს აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა, თუ ვინ ვის მოუგო ან და ვინ ვისთან დამარცხდა. განა ასეთი წვრთნა საშუალებას მისცემს ჩვენს ჩოგბურთელებს წარმატებით გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე? რასაკვირველია, არა, იგი ხელს უწყობს საწვრთნელ მუშაობაში არსებულ შეცდომათა მრავალგზის გამეორებას. ანგარიშზე თამაშს არ შეუძლია ზედმიწევნით დახვეწოს ჩოგბურთელის ტექნიკის ელემენტები, მისცეს მას სათანადო ფიზიკური მომზადება.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი მძლეოსნების, ფეხბურთელების, კალათბურთელების, მოჭიდავეების მიერ მოპოვებული სერიოზული წარმატებები საგანგებოდ დამუშავებული წვრთნის მეთოდიკის ნაყოფია. სპორტის ამ სახეობებს მთელი წლის განმავლობაში ექცევა დიდი ყურადღება. სისტემატურად მიმდინარეობს დაულალავი წვრთნა ტექნიკისა და ტაქტიკის ცალკეული ილეთების შესწავლისა და დახვეწისათვის.

დამუშავებულია წვრთნის მოწინავე მეთოდიკა ჩოგბურთელებისათვისაც, რომლის სქემა ასეთია: საერთო ფიზიკური მომზადება, ტექნიკის ელემენტების დამუშავება, საკონტროლო საწვრთნელი მატჩები. და ისინი, ვინც უგულებელყოფენ ამას, ერთ ადგილს ტკეპნიან, ხოლო ვინც თავის საწვრთნელ მუშაობაში იყენებს ჩოგბურთელის წვრთნის მოწინავე მეთოდებს, რასაკვირველია, წინ მიდის. მოხარულნი ვართ, რომ უკანასკნელი კატეგორიის ჩოგბურთელთა შორის არიან ი. რიაზანოვა და ნ. მძინარიშვილი.

სულ ცოტა ხნის წინათ ნუგზარი ვერ ფლობდა ძლიერ და ზუსტ გაწოდებას, ადგილზე ვერ „პკლავდა“ მოწინააღმდეგისგან გამოგზავნილ მაღალ ბურთს, მის მიერ მარცხენა მხრიდან დარტყმული ბურთი არ იყო ძლიერი. მას ჰქონდა სხვა ნაკლოვანებებიც. კარგი ტექნიკის გარეშე დიდ წარმატებებს ვერ მოიპოვებ,—ეუბნებოდნენ ნუგზარს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელები, — რომ დიდი წარმატებების საიდუმლოება ჩოგბურთის თანამედროვე ტექნიკის ათვისებაშია. გამოცდილი მწვრთნელების დარიგება კარგად გაითვალისწინა ნუგზარმა და გადაწყვიტა გამოსულიყო ჩოგბურთის ნამდვილი ოსტატი. უფროს ძმა ლეონარდოსთან ერთად, ერთი წლის წინათ დაიწყო დაუღალავი წვრთნა. როგორც პიანისტი, რომელიც საათების განმავლობაში მუშაობს გამებზე, ხვეწს უძნელეს პასაჟებს, ასევე ნუგზარი საათობით ვარჯიშობდა მიწოდების შესრულებაზე, ასრულებდა მას 100-ჯერ, 200-ჯერ, 300-ჯერ. ამასთან იგი დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდა ჩოგბურთის თამაშის მეტად საჭირო ორ ელემენტს, რომელიც გაერთიანებულია ერთ მოძრაობაში — მიწოდება ბადესთან გასვლით. დიდი სიძლიერის მიწოდებისთანავე ნუგზარი ელვის სისწრაფით გადის ბადესთან და ძლიერი დარტყმით ცდილობს მოწინააღმდეგის მიერ მოწოდებული ბურთი გაეავნოს მისსავე მოედანზე. ასევე კარგად დაეუფლა იგი მეტოქის მოედნისაკენ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან ტრიალა ბურთების გაგზავნას.

ნ. მძინარიშვილის შრომისმოყვარეობამ უკვე მოგვცა პირველი შედეგი. მან ამას წინათ შესანიშნავად ჩაატარა ლენინგრადში მოწყობილი საერთაშორისო ტურნირი — ფინალში დაამარცხა მეორე მზარდი, ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი პ. მეტრეველი და პირველი ადგილი დაიკავა.

დაძაბული შრომის ნაყოფია აგრეთვე ი. რიაზანოვას გამარჯვებები. იგი ძალზე სწრაფია, კარგად ფლობს მარჯვნიდან მძლავრ დარტყმებს, თამაშის მთელ რიგ სხვა რთულ ელემენტებს. მაგრამ ი. რიაზანოვას მეტი წარმატებები ექნებოდა, რომ მას სრულყოფილად ჰქონდეს დამუშავებული მძლავრი მიწოდებების შესრულება ბადესთან გასვლით, თანაბარი სიძლიერის თამაში. თუ იგი ამ ელემენტებს ისევე წარმატებით შეასრულებს, როგორც მთელ რიგ სხვა რთულ ილეთებს, რომლებითაც გამოირჩევა სხვა სპორტსმენებისაგან, მაშინ იგი ჩადგება მსოფლიო კლასის ჩოგბურთელთა რიგებში. ახალგაზრდა სპორტსმენი ამჟამად ბევრს მუშაობს თავის თავზე, რომ გამოასწოროს თამაშის ტექნიკის ხოგიერთი ხარვეზი და ჩვენ გვჯერა, რომ ირინა რიაზანოვას სულ მოკლე ხანში ვიხილავთ უფრო მოქნილს, ძლიერსა და მაღალი ტექნიკით აღჭურვილ სპორტსმენს.

ვ. კოლეგორსკი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •



**სურათზე:** მარჯვნივ — ი. რიაზანოვა შეჯიბრების შუალედში.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## სპორტაკელთა ასპარეზობა

ლანჩხუთის სახალხო თეატრის შენობაში ამას წინათ შედგა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდა ექვსი რაიონის გუნდი, რომელთა შორის, სამწუხაროდ, არ იყვნენ გორის, საგარეჯოს, სტალინირის, მცხეთის, წითელწყაროს და სხვა მდიდარი საჭიდაო ტრადიციების მქონე რაიონები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: შ. ფიცხელაური (ახმეტა), გ. სულაძე (თბილისი), ვ. ნახუცრიშვილი (თბილისი), რ. კოტორაშვილი (თბილისი), ი. დადალაური (თელავი), ვ. რეხვიაშვილი (თელავი), ა. ფიცხელაური (ახმეტა), ო. თათარიშვილი (თელავი). გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის კოლექტივი, მეორე ადგილზე — თელავის რაიონის, ხოლო მესამეზე — ახმეტის გუნდები.

შ. ზუკაკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



დამთავრდა აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში, სადაც გამარჯვება მოიპოვა სპორტსკოლის ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ვ. კობიძე).

* * *

**სურათზე:** გამარჯვებული გუნდი.

ფოტო ე. ჭანტურიასი.

# "ბ" კლასის გათამაშების ცხრილები

## მოკავშირე რესპუბლიკათა

### I ზონა

მდგომარეობა 28 მაისისათვის

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 7 | 13:4 | 12 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 8 | 16:9 | 10 |
| „ლოკომოტივი" (გომელი) | 7 | 12:6 | 9 |
| „ხიმიკი" (მოგილიოვი) | 7 | 11:7 | 9 |
| რეზ-ი (რიგა) | 7 | 12:8 | 8 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 7 | 7:4 | 8 |
| „დინამო" (ბათუმი) | 7 | 8:8 | 8 |
| „რიცა" (სოხუმი) | 6 | 10:8 | 7 |
| „პიშჩევიკი" (ტირასპოლი) | 7 | 10:12 | 7 |
| „ნისტრული" (ბენდერი) | 7 | 8:9 | 6 |
| „კრ. ზნამია" (ვიტებსკი) | 5 | 6:7 | 5 |
| „ბანგა" (კაუნასი) | 7 | 6:11 | 5 |
| „სელმაში" (ლიეპაია) | 8 | 8:13 | 5 |
| ქ. ბობრუისკი | 7 | 3:9 | 5 |
| სკფ (ტალინი) | 7 | 9:15 | 4 |
| „სპარტაკი" (ბრესტი) | 6 | 5:14 | 2 |

## მოკავშირე რესპუბლიკათა

### II ზონა

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ქუთ.) | 9 | 15:7 | 14 |
| „ენერგეტიკი" (სტალინაბადი) | 9 | 17:4 | 13 |
| „კოპეტ-დაგი" (აშხაბადი) | 9 | 19:7 | 11 |
| „ნაირი" (ერევანი) | 8 | 12:8 | 11 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 9 | 16:12 | 11 |
| „ტექსტილშჩიკი" (კიროვაბადი) | 8 | 11:8 | 10 |
| „სტარტი" (ტაშკენტი) | 9 | 11:8 | 10 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 8 | 7:7 | 9 |
| „სპარტაკი" (ბაქო) | 8 | 11:10 | 8 |
| „სპარტაკი" (ფერგანა) | 8 | 6:11 | 6 |
| „მეტალისტი" (ჯამბული) | 8 | 9:16 | 6 |
| „დინამო" (სამარყანდი) | 9 | 12:24 | 6 |
| „ტემპი" (სუმგაითი) | 8 | 8:13 | 5 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 8 | 8:13 | 5 |
| „პამირი" (ლენინაბადი) | 8 | 9:14 | 5 |
| „მეტალურგი" (ჩიმკენტი) | 8 | 11:20 | 4 |

# საბჭოთა გუნდის გამარჯვება

ბუდაპეშტში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, რუმინეთის, უნგრეთის (3 გუნდი), პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და გდრ-ს უძლიერესი სპორტსმენები. შეჯიბრება დაიწყო ცხენოსნური სპორტით. აქ ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა უნგრელ ფ. ტიორიოკს. მეორე დღეს ჩატარდა შეხვედრები ფარიკაობაში, კვლავ თავი ისახელეს უნგრელებმა ფ. ტიორიოკმა და ი. მუიზერმა. პისტოლეტიდან სროლაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ჰ. სელგმა, რომელმაც 200 შესაძლებლიდან დააგროვა 198 ქულა.

მეოთხე სახეობა იყო ცურვა. აქ პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს უნგრელებმა ა. ბალცომ და ი. მუიზერმა. ჩვენი გუნდის წევრები ბ. პახომოვი გამოვიდა მე-3 ადგილზე, ე. სდობნიკოვი — მეხუთეზე და ჰ. სელგი — მეცამეტეზე. რადგან გუნდურ ჩათვლაში შედიოდა 3 მონაწილის შედეგი და უნგრელებიდან მესამე სპორტსმენმა ძალზე დაბალი შედეგი აჩვენა, საბჭოთა გუნდმა მეორედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მძლეოსნურ კროსში უკეთ გამოვიდა საბჭოთა გუნდი და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა — 15.263 ქულა, მეორე ადგილი დაიკავა უნგრეთმა— 14.904.

პირად პირველობაზე ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. ბალცო (უნგრეთი), 2. ვ. პიჩუჟკინი, 3. ე. სდობნიკოვი, 4. ჰ. სელგი.

# ამინდმა შეუშალა ხელი

საქართველოს უძლიერეს მესტენდურეთა შეჯიბრების მეორე დღეს უნდა გამოევლინებინა გამარჯვებულნი ადგილიდან სროლაში. წინა დღეს 100 გასროლის შემდეგ პირველი თანრიგის შედეგზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 20 სპორტსმენს და ცხადია, ფინალი საინტერესო უნდა ყოფილიყო. მოლოდინი არ გამართლდა. ამაში დანაშაული სპორტსმენებს კი არ მიუძღვით, არამედ ამინდს— ძლიერ ქარსა და წვიმას.

თუ პირველ და მეორე სერიაში სპორტსმენებმა როგორღაც ალღო აუღეს ქარს და დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს, მომდევნო ორ სერიაში ყველაფერი აირია. ქარს, რომელიც ხშირად იცვლიდა მიმართულებას, მოჰყვა წვიმაც, რაც შეჯიბრების მონაწილეებს უძნელებდა არა მარტო ზუსტ დამიზნებას, არამედ წონასწორობის დაცვასაც კი.

ამინდის თანდათან გაუარესებამ სპორტსმენთა ერთ ნაწილზე მორალურადაც იმოქმედა. თუ მესამე სერია არ უსვრია სამ სპორტსმენს, მეოთხე სერიაში მათ რიგებს კიდევ 9 მსროლელი მიემატა და „ფინიშის უკანასკნელ სწორს" 18 მონაწილეთა შერჩა (ოთხი ამ დღეს ცეცხლის ხაზზე არ გამოსულა), ძირითადად ისინი, რომლებიც გამარჯვების შანსებს ინარჩუნებდნენ, თუმცა მათგანაც ამ დღეს მხოლოდ ორმა ოსტატმა ზ. მაჩხანელმა და ა. ხახანაშვილმა შესძლეს პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება.

ბუნებრივ პირობებს ყველაზე კარგად შეეგუენ ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე, ვ. ჯაბახიძე, ა. ხახანაშვილი, რ. ჩიგოგიძე და კიდევ რამდენიმე მესტენდურე. პირველი დღის ლიდერებმა ტ. კობერიძემ და ა. ოვსეპიანმა კი ბოლო სერიაში ამაოდ ესროლეს 10 და 11 სამიზნეს შესაბამისად, რის გამო ვერ მოხვდნენ პრიზიორთა შორის.

ზ. მაჩხანელმა, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 181 სამიზნე დაამსხვრია და მოიპოვა უძლიერესის სახელი. გამარჯვების ბედი ფაქტიურად პირველ სამ სერიაში გადაწყვიტა თავის სასარგებლოდ, როცა 75 სამიზნედან მხოლოდ 6 გაუფრინდა. ასეთი შედეგი ამ დღეს სხვას არავის ქონდა, მასთან 2-2 სამიზნით აგებდნენ ბ. სეგალევიჩი და ა. ხახანაშვილი.

საბოლოოდ ზ. მაჩხანელმა წინა დღის 94 სამიზნეს ამ დღეს 87 დაუმატა და ორი დღის ჯამში 3 სამიზნით გაასწრო მეორე ადგილზე გამოსულ ბ. სეგალევიჩს — 178 ქ. მან თავის მხრივ ერთი ქულით აჯობა ა. ხახანაშვილს — 177 ქ. რომელმაც დაიკავა მესამე ადგილი.

დღეს გაიმართება შეჯიბრება მრგვალ სტენდზე სროლაში.

ო. ივდოშვილი

* * *

**სურათებზე:** ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, სპორტის ოსტატები დ. ცაგარეიშვილი და ა. ხახანაშვილი (მარჯვნივ) თბილისის „მონკავშირის" სტენდზე.





**29 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდისა და აგიტაციის საბჭოს კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.**

**ლექციებს წაიკითხავენ: სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ლექტორი ე. ა. ადამოვი, თემაზე: „ნამდვილი და მოჩვენებითი კულტურის შესახებ", ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. დ. ბანძელაძე თემაზე: „მარქსისტული ეთიკის საკითხები".**




# ახალი ამბები ბელგრადიდან

### ევროპის VII პირველობის ირგვლივ კომიტეტმა ასე გადაწყვიტა — პეა

მძლეოსანთა ევროპის VII პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა: „მძლეოსნობაში ევროპის პირველობის" ნაცვლად იხმაროს შემოკლება პეა და მიზანშეწონილად მიაჩნია ნათლობის ეს ახალი სახელი დარჩეს მუდმივ ხმარებაში, ვინაიდან მძლეოსანთა ევროპის პირველობა ყველაზე დიდი შეჯიბრებაა ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

△

### პეა-ს ოფიციალური ემბლემა და ნიშანი

VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პირველ საზრუნავს წარმოადგენდა ოფიციალური ემბლემა, ნიშანი და პლაკატი. მის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩაება იუგოსლავიის ყველა ცნობილი მხატვარი და მალე მასალები წარედგინა ჟიურის.

ემბლემისა და სამკერდე ნიშნის ესკიზებს შორის გამარჯვება წილად ხვდა ცნობილი ზაგრებელი გრაფიკოსის მ. ვულპეს ნამუშევარს, ხოლო პლაკატებს შორის — ბელგრადელი მხატვრის რ. სტევიჩ-რას პლაკატს. მალე იუგოსლავიას და მთელს ევროპას მოეფინება რ. სტევიჩ-რას ნამუშევრების მიხედვით დამზადებული მძლეოსანთა ევროპის VII პირველობის პლაკატები.

△

### საუკეთესოები დაესწრებიან პირველობას

იუგოსლავიის ათლეტთა კავშირის ინიციატივით ბელგრადში გაიმართა პეა-ს საორგანიზაციო კომიტეტისა და იუგოსლავიის ფიზაღზრდის მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელთა სხდომა, რომელმაც განიხილა ევროპის პირველობის ფართო აგიტაციის, მოსწავლე ახალგაზრდებში მძლეოსნობის დანერგვისა და ამ კომპანიაში ფიზაღზრდის მასწავლებელთა როლის საკითხი. აქვე გადაწყდა, რომ იმ მასწავლებლებსა და მოსწავლე-სპორტსმენებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ იუგოსლავიაში მძლეოსნობის დანერგვა-განვითარების საქმეში, მიეცემათ მძლეოსნობაში ევროპის VII პირველობაზე უსასყიდლოდ დასწრების უფლება.

△

### ინტერესი თანდათან იზრდება

ევროპის ამ უდიდესი ღონისძიებისათვის თანდათან იზრდება სპორტსმენთა და ტურისტთა ინტერესი ევროპაში. ევროპის ქვეყნების მძლეოსანთა ფედერაციები საორგანიზაციო კომიტეტს უკვე უგზავნიან ცნობებს პირველობაზე ჩამომსვლელთა მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ.

ასე მაგალითად, ჰოლანდიის მძლეოსნობის ფედერაცია იტყობინება, რომ მისი ეროვნული გუნდი განისაზღვრება 30 წევრით.



იყო დრო, როდესაც ფილადელფიის რინგი ჰქუხდა პროფესიონალური კრივის სამყაროში. იგი ერთი მეორის მიყოლებით უშვებდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს ყველა წონით კატეგორიაში. მართალია, მრავალი წლის მანძილზე ვერც ერთმა იქაურმა მოკრივემ ვერ შეძლო რთული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მოქცევა, მაგრამ პრეტენდენტობაც უკვე თავისთავად საპატიო წოდება იყო და ფილადელფიის კრივის მესვეურები კმაყოფილნი იყვნენ „მეორე ვიოლინოს" როლით.

ფილადელფიელი მოკრივეების მძლავრი მუშტი ნაგემი აქვთ სხვადასხვა დროის გამოჩენილ „ვარსკვლავებს" და მათ შორის უპირველესებს ჯო ლუისს, ჯეკ დემპსის, როკი მარჩიანოსა და სხვებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კრივის ბიზნესი ფილადელფიაში მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იფურჩქნებოდა, ყველანი კმაყოფილნი იყვნენ — სპორტსმენები, მაყურებლები და რა თქმა უნდა, კრივის მაგნატებიც.

50-იანი წლების პირველ ნახევარში ფილადელფიის საქმიან წრეებს პანიკის ნიშნები დაეტყო. კონვეიერის რთულ მექანიზმს ბზარი შეეპარა: შემცირდა პრეტენდენტთა რიცხვი და მათი ხარისხი. ახალგაზრდებმა გული აიყარეს მშობლიურ ქალაქზე და უკეთესი ლუკმის ძიებაში მიაშურეს ჩიკაგოს, ბოსტონის, ნიუ-იორკის რინგებს.

სწორედ ამ დროს (უფრო სწორად 1954 წლის გაზაფხულზე) რინგის კარები მოკრძალებით შეაღო, ჩაფსკვნილმა ჭაბუკმა, რომელმაც კრივში მეცადინეობის სურვილი განაცხადა. ახალგაზრდას გულმოდგინედ აუხსნეს, თუ რა სიძნელეებთან მოუხდებოდა მას ბრძოლა, კარგა მაგრად დააშინეს კიდეც, მაგრამ იგი ჯიუტად მოითხოვდა თავისას. მწვრთნელებს მოეწონათ ჭაბუკის სიჯიუტე, პირდაპირობა და დასტოვეს რინგზე.

...მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლო მან მოკრივის როლში, მაგრამ მაღალ მაჩვენებლებს მაინც მიაღწია. ჭაბუკმა ჩინებულად ჩაატარა პირველი გამოსვლა რინგზე და ბრძოლა ნოკაუტით მოიგო, მოიგო მან მეორე შეხვედრაც, მესამეც, მეშვიდეც და ყველა ნოკაუტით. სპორტულ წრეებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი ახალი ვარსკვლავის შესახებ. მაგრამ ყველას მოულოდნელად მან მძლეოსნურ სტადიონზე გადაინაცვლა. ასე მოევლინა სპორტულ სამყაროს ახალი ვარსკვლავი (ოღონდ მძლეოსნობაში) — ბილ ნიდერი.

თავის არც თუ ისე ხანგრძლივ სპორტულ მოღვაწეობაში ბილ ნიდერმა ფენომენალურ წარმატებებს მიაღწია, ახალბედა მძლეოსნიდან — მსოფლიო რეკორდსმენამდე. ბილ ნიდერის სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკული სპორტის ოქროს ხანასთან და იგიც მათემატიკური სიზუსტით რჩებოდა თავისი ტრადიციის ერთგული.

რომის ოლიმპიური თამაშების წინ ბილ ნიდერმა მიიღო ტრავმა, საგრძნობლად გაუარესდა მისი სპორტული მაჩვენებლები. მსოფლიოში საუკეთესო ბირთვის მკვრელმა მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა შეერთებულ შტატებში.

მაგრამ ჯიუტი ბილი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მან კიდევ ერთხელ გააოცა სპორტული სამყარო თავისი შეუპოვრობით და არაჩვეულებრივი სიბეჯითით. ხანმოკლე დროში „გამქრალმა ვარსკვლავმა" აღიდგინა სპორტული ფორმა და რომში შეერთებული შტატების გუნდში პირველ ნომრად გაემგზავრა.

„ფორო იტალიკოს" ოლიმპიური სტადიონის გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე სამი ამერიკელი — ბ. ნიდერი, პ. ობრაიენი და დ. ლონგი დადგნენ. მათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადასცა ბირთვის კვრაში საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის. ათეული ათასობით მაყურებელი მქუხარე ოვაციით შეხვდა მათ, განსაკუთრებით კი ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. ნიდერს.

შეჯიბრების შემდეგ ჟურნალისტებმა მოინახულეს ბ. ნიდერი, მიულოცეს გამარჯვება და ჰკითხეს თუ რა შედეგების ჩვენებას აპირებს მომავალში. ამას ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოკრივის პოზის დაკავებით უპასუხა და გაკვირვებული პრესის მუშაკები თვითონვე გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან.

— გამარჯვების მიუხედავად მე გადავწყვიტე ვუღალატო მძლეოსნობას და პროფესიონალი მოკრივე გავხდე.

და აი სპორტულ სამყაროს მოედო სენსაციური ცნობა: „ბილ ნი[...]დერი სპორტული წარმატების [...]ნიტში უბრუნდება თავის პირვე[...] სიყვარულს — კრივს".

...ბილ ნიდერი მოკრივის ხე[...] თათმანებით დგას ფილადელფი[...] რინგზე. იგი ატარებს თავის ცხო[...]რებაში მერვე შეხვედრას, რო[...] გორც პროფესიონალი. დარბა[...] სავსეა მაყურებლებით, რომლებსა[...] სურთ სახელგანთქმული მძლეო[...]ნის დებიუტის ნახვა. ზღვა ხალ[...]ღელავს. მათზე არანაკლებად ღ[...]ლავს ბილ ნიდერი, პირველ[...] ბრძოლისაგან ბევრი რამაა დამო[...]კიდებული. მოწინააღმდეგე ნა[...]ლებად ცნობილი მოკრივეა, მა[...]რამ ბილი მაინც ფრთხილად[...] კონტრაქტის მიხედვით ბრძოლა [...] რაუნდს მაინც უნდა გაგრძელდ[...]

გონგი! მეტოქეები ერთმანეთ[...] ეკვეთნენ და პირველად ცხოვრება[...]ში ბილ ნიდერს უსიამოვნ[...] ეჭრუანტელმა დაუარა: ვინ იცი[...] რას უმზადებს მას ეს 6 რაუნ[...] ვინ იცის რას ფიქრობს მისი მეტო[...]ქე და ეს ზღვა ხალხი. ბილ[...] ფრთხილად უნდა იყო, ეუბნება[...] იგი თავის თავს და... მოულოდნე[...]ლად იღებს მძლავრ დარტყმა[...] მარცხენა მხრიდან. წამით ყველ[...]ფერმა შეწყვიტა არსებობა, 100[...] კილოგრამიანი გოლიათი (მისი სი[...]მაღლე 190 სანტიმეტრია) მოკვე[...]თილივით დაეცა რინგზე.

გასახდელში კი მას ელოდნე[...] იმედგაცრუებული თაყვანისმცემ[...]ლები და მკაცრი მენაჯერი. [...] დაიმსხვრა მისი იმედები.

**ი. ორახელაშვილი**



დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა სპორტის მოყვარულებში ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრები გუნდების ვიზიტმა. სტუმრებმა აჩვენეს მაღალი ტექნიკა, კარგი ფიზიკური მომზადება და, რაც მთავარია, ნამდვილი თანამედროვე კალათბურთი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს ვ. უგრეხელიძეს, რომელიც ცდილობს ბურთის კალათში ჩაგდებას.

# პასუხობს კოპა

ცნობილი პოლონელი სპორტული მიმომხილველი ვ. ლეხოვსკი ამ დღეებში ეწვია ვარშავაში მყოფ ფრანგ ფეხბურთელს რაიმონ კოპას. აი რა უპასუხა რ. კოპამ შეკითხვებზე:

**კითხვა:** რას გვეტყვით მსოფლიო ჩემპიონატზე და თქვენი გუნდის შანსებზე?

— თუმცა ფრანგებმა უკვე მოიპოვეს ორი გამარჯვება ბულგარელებთან (3:0) და ფინელებთან (2:1), ფინალში მოხვედრის საკითხი ჯერ არაა გარკვეული. მოგველის მძიმე მატჩ-რევანში სოფიაში, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქვეჯგუფში. საერთოდ კი, ფრანგები არ უნდა მოელოდნენ „დაფნის გვირგვინს" ჩილეში და ძნელად რომ ევროპის გუნდებმა წარმატებას მიაღწიონ სამხრეთ ამერიკაში. ფავორიტები არიან ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი.

**კითხვა:** ვინ მოიგებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს?

—გამარჯვების დიდი შანსები ექნებოდა მადრიდის „რეალს", მაგრამ მას გათამაშების დატოვება მოუხდა. „ბარსელონა" უარესად თამაშობს, განსაკუთრებით მიმდინარე წელს. საგრძნობ ძალას წარმოადგენს ლისაბონის „ბენფიკა". ჩემის აზრით, ფინალში შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**კითხვა:** რა ასაკისათვის ყალიბდება პირველხარისხოვანი ფეხბურთელი, ან როგორია უკიდურესი ასაკი?

—ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. პირველხარისხოვანი ფეხბურთელი ყალიბდება დაახლოებით 20 წლის ასაკისათვის, ხოლო „ხნიერი ფეხბურთის" პრობლემა ჩემთვის უცნობია. არსებობს მხოლოდ ფეხბურთის კლასი და ფორმა. დი სტეფანო ფრიად ხანდაზმულია, მაგრამ ჭაბუკ პელესთან ერთად სამართლიანად ითვლება მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელად.

**კითხვა:** რას გვეტყვით მსოფლიო მნიშვნელობის „ვარსკვლავების" შესახებ?

—დი სტეფანოს საუცხოოდ ვიცნობ და მასთან რამდენიმე წელი ვთამაშობდი მადრიდის „რეალში". იგი უბრწყინვალესი ფეხბურთელია, მაგრამ მე იგი მაინც არ მიმაჩნია ყველაზე ძლიერ ფორვარდად მსოფლიოში. ასეთად ვთვლი პელეს. „შავი მარგალიტი" ნამდვილი ვირტუოზია.

**კითხვა:** თქვენს სპორტულ კარიერაში რომელი მატჩები მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

—უნდა აღვნიშნო მატჩი მოსკოვში სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ 1956 წელს. ამავე წელს პარიზში ჩატარებული შეხვედრა ბულგარელებთან, მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატი და აგრეთვე რამდენიმე მატჩი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში.

**კითხვა:** რატომ მიატოვეთ „რეალი"? გავრცელდა ხმა თითქოს უთანხმოება გქონდათ დი სტეფანოსთან.

— საქმე შემდეგშია. „რეალში" თამაში მიხდებოდა მარჯვენა გარემარბად, ამასთან ჩემთვის ძნელი იყო შეგუება მწვრთნელის დებულებებთან. მე მინდა ვითამაშო ფეხბურთი, როგორც მსურს. ამ მხრივ „რეიმსის" მწვრთნელი ა. ბატე სრულ თავისუფლებას მაძლევს. ასე რომ, ჩემებურად თამაში ვარჩიე მილიონ პეზეტს, რომელსაც „რეალში" ვიღებდი. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე სამშობლოში დაბრუნების სურვილმა.

# კულტურის მუშაკთა შორის

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში დამთავრდა 1951 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში სანახაობითი დაწესებულებებს შორის.

პირველი ადგილი დაიკავა მარჯანიშვილის სახ. თეატრის კოლექტივმა, II ადგილი — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა, III — სახელმწიფო ფილარმონიამ.

გამარჯვებულებს გადაეცათ ხელოვნების სახლის სიგელები.

**ი. თოდრია**

**რედაქტორი ი. უბულავა.**



31 მაისი, 1 ივნისი
საერთაშორისო შეხვედრა
ტანვარჯიშში
## უნგრეთი — საქართველო
დასაწყისი 19 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05549